



**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ხელნაწერის უფლებით

თამარ აგლაძე

**საბანკო პროცესების ოპტიმიზაცია და საბანკო მომსახურების
ეფექტიანობა საქართველოს ბანკის მაგალითზე**

ეკონომიკის დოქტორის კადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი, 2025

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე. („გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი მაია გონაშვილი

შემფასებლები (რეცენზენტები):

1. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ნანა რინკიაშვილი
2. უკრაინის ეკონომიკისა და პროგნოზირების ინსტიტუტის, საერთაშორისო ფინანსების კვლევების განყოფილების გამგე, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლენა ბორზენკო

დაცვა შედგება 2025 წლის 11 ოქტომბერს 12.00 საათზე. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, I კორპუსი, II სართული, თესაუს მცირე დარბაზი.

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1 ტელ: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ავტორეფერატის ვებ-გვერდზე: <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: თესაუ-ს პროფესორი,

ეკონომიკის დოქტორი : ია ჯიმშიტაშვილი

თემის აქტუალობა

ბიზნეს პროცესი - საბანკო სექტორში ბიზნეს პროცესი გულისხმობს ერთმანეთზე დაკავშირებული ქმედებების ან ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად, როგორცაა მაგალითად მომსახურება ან პროდუქტი. თითოეულ პროცესს ჰყავს მასში უშალოდ ჩართული მხარე/მონაწილე, რომელიც პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ქმედებების შესრულებაზე. პროცესის უშალო მონაწილე არის როგორც მომხმარებელი, ასევე კონკრეტული ბიზნეს ერთეულის თანამშრომელი. გარკვეული პროცესები საბანკო ინსტიტუტებში იწყება მომხმარებლის მოთხოვნით და მთავრდება მომხმარებლისათვის კონკრეტული შედეგით.

საბანკო სექტორში პროცესების არაეფექტურად მართვა, საჭირო რესურსებისა და დანახარჯების არათანაბარი გადანაწილება, მომსახურების ხარისხის შემცირება და საბოლოო ჯამში შემოსავლების შემცირება განაპირობებს საკითხის სიღმისეულ შესწავლასა და კვლევას, რომლის პირველ ნაბიჯს პროცესების ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

ბიზნეს პროცესი წარმოადგენს მოქმედებათა დადგენილ თანმიმდევრობას, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ შესასვლელს, რესურსებს, რაც აუცილებელია სამუშაოთა რეალიზაციისათვის/ მომსახურების გაწევისათვის. უცხოურ ლიტერატურაში (M. Weske; 2012) ბიზნეს-პროცესი წარმოადგენილია როგორც ერთი ან რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ოპერაცია/პროცედურა, რომელიც ემსახურება გარკვეული მიზნის მიღწევას.

დღეისათვის არ არსებობს ბიზნეს-პროცესის ერთიანი ტიპოლოგია. ამიტომ, ერთდროულად გამოიყენება ბიზნეს-პროცესის სხვადასხვაგვარი განსაზღვრა. მაგ. ძირითადი პროცესი, მთავარი პროცესი, ფასეულობის შემქმნელი პროცესი, საწარმოო პროცესი და ა.შ. კომპანიისათვის დამახასიათებელ პროცესებს

წარმოადგენენ შეკვეთის შესრულება, პროდუქტის შემუშავება, კომპანიის მართვა, პროდუქციის მიწოდება. ყოველ კომპანიაში არსებობს დარგისათვის ტიპური, ურთიერთდაკავშირებული ბიზნეს-პროცესი, რომელთა მიზანია პროდუქციის/მომსახურების ღირებულების შექმნა და რეალიზაცია (ჩაგელიშვილი ლ; 2018).

თანამედროვე მიდგომებით, ეფექტიანობის მისაღწევად, საჭიროა მართვისადმი პროცესული მიდგომა, რომელიც აერთიანებს განსაზღვრულ ბიზნეს-პროცესებს. მართვის თანამედროვე სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად მიდგომებს:

- ხარისხის მართვის საყოველთაო სისტემა(TQM);
- ბიზნეს პროცესთან ინტეგრირებული ხარისხის მართვის სისტემა(PIQS);
- სამუშაო ნაკადების მართვის სისტემა(WFMS);
- კომპანიის რესურსების დაგეგმვისა და მართვის კომპლექსური სისტემა (ERP).

საბანკო პროცესების ოპტიმიზაციის აუცილებლობა განაპირობა ასევე ციფრული ბიზნესის ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ შემოჭრამ.

ციფრული ეკონომიკის განვითარების ეპოქაში საბანკო სექტორი წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის ტექნიკური განხორციელების ფლაგმანს.

ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება და ახალი ტექნოლოგიების შემოტანა კმნის ახალ შესაძლებლობებს ფინანსური სფეროს მომხმარებელთა შორის ურთიერთობის და ბიზნეს გარემოსთვის ახალ საინფორმაციო კომუნიკაციურ ბერკეტებს. მზარდი მომხმარებელთა ნაკადი სულ უფრო მეტ არხს იყენებს საბანკო მომსახურების მისაღებად ახალი პლატფორმებისა და საბანკო ეკოსისტემების გამოყენებით. ციფრული ტრანსფორმაციის ახალი წესრიგის პირობებში, ტექნოლოგიები ადაპტირდება ადამიანების ქცევის ცვლილებებთან, ეს კი იწვევს უფრო ეფექტური და დაბალხარჯიანი ბიზნეს გადაწყვეტილების წარმოშობას.

ციფრული ტრანსფორმაციის დასაწყისი ქვეყანაში უკავშირდება ეკონომიკის მნიშვნელოვან(წამყვან) სფეროს – საბანკო სექტორს. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ საბანკო სისტემა ყველაზე მგრძნობიარე და ადაპტირებადია გარე გავლენის ფაქტორების მიმართ, რაც შესაძლებელს ხდის, რომ არსებული ინოვაციური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესდეს საბანკო მომსახურების მიწოდების პროცესი, შეიქმნას და დაინერგოს ფუნდამენტურად ახალი ციფრული პროდუქტები. საბანკო საქმიანობის გაციფრულება გახდა თანამედროვე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხური. საკრედიტო ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ციფრულ ტექნოლოგიებს ნერგავენ, რაც მათ უფრო წარმატებულსა და კონკურენტუნარიანს ხდის.

დღემდე არ არსებობს ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა ცნებაზე — „საბანკო სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია“. თუმცა, მაინც იკვეთება საერთო მიდგომა, რომ საბანკო სექტორის ციფრული ტრანსფორმაცია არის როგორც ინდივიდუალური ბიზნეს-პროცესების, ასევე მთლიანად ბიზნესის ან სახელმწიფო ინსტიტუციების ტრანსფორმაცია, რომელიც ბიზნეს-მოდელზე და შესაბამის რესურსებზეა დაფუძნებული.

საბანკო სფეროში ციფრული ტრანსფორმაციისას პირველხარისხოვანი ამოცანაა ეკონომიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ვინაიდან ციფრული პლატფორმები კიბერშეტევების სამიზნედ იქცევა. სწორედ ამ პროცესების ხარისხზე და მომსახურების დონის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული ბანკების ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა.

საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ციფრული ბანკების წარმოშობა. COVID-19-ის პერიოდში სულ უფრო მეტი მოთხოვნა იყო საბანკო მომსახურების დისტანციურად გამხორციელებაზე. აღნიშნულმა ციფრული ბანკების თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა და წინა პლანზე წამოწია. ტრადიციულმა

ბანკებმა გაგრძელეს ციფრულ ბანკებთან ერთად ფუნქციონირება და სულ უფრო მეტად ცდილობენ ახალ სტანდარტებზე მორგებას.

ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ციფრული ბანკები არ ნიშნავს მხოლოდ ტექნოლოგიას, აქ მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება მენეჯმენტზე, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ბიზნეს მოდელის სწორად განხორციელება და ციფრული ტექნოლოგიების ბაზაზე შედეგების მიღწევა.

თანამედროვე ბანკების უპირველესი მიზანი მომხმარებელზე, უფრო ხშირად კი უხილავ მომხმარებელზე ორიენტაციაა, მათი მოზიდვა ინოვაციური გზებითა და ხერხებით.

აღნიშნულს ადასტურებს უცხოური გამოცდილებაც. მაგალითად, ევროპაში Solary Bank-მა თავისი სერვისები ე.წ. BaaS მოდელით განახორციელა, რომელიც მესამე მხარისათვის სერვისების API-ს ფორმით შეთავაზებას გულისხმობს.

kakaobank-ი, რომელმაც სამხრეთ კორეაში kakao-chat-ის ბაზაზე განახორციელა ბიზნეს მოდელი. ტაივანში Richart-მა საქმიანობის სეგმენტად ახალგაზრდები აირჩია და აქცენტი გააკეთა მეგობრულ ინტერფეისზე. ნეო ბანკი Revolut-ის ნიშა იყო საზღვარგარეთ მოგზაური ტურისტები, რომლებთანაც სავალუტო საკომისიოს გაუქმებით წარდგა. დასწრების ამ სტრატეგიამ საშუალება მისცა მას განევითარებინა სხვა ინოვაციური პროდუქტებიც და მოწინავე ადგილი დაეკავებინა ციფრული პროდუქტების ბაზარზე(გორგოძე ო. 2020).

საქართველოში, ციფრული ბანკის პირველი ლიცენზია ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს გასცა. ეს იყო “პეისერა ბანკი საქართველო”-ს ლიცენზია, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ციფრული ბანკის ინოვაციური მოდელები; ციფრული ეკოსისტემების განვითარება, ღრუბლოვანი სერვისების ეფექტურად გამოყენება და სხვა.

საბანკო სექტორის გაციფრულებას თან ახლავს სერიოზული გამოწვევები: პროექტის გამნხორციელებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რაც მცირე ფინანსურ

ორგანიზაციებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. დიდ ბანკებს მეტი შესაძლებლობა აქვთ აიყვანონ კვალიფიციური კადრები, დანერგონ ხელოვნური ინტელექტი და ბიომეტრიული ტექნოლოგიები, რაც მცირე(მით უფრო რეგიონებისათვის) მოთამაშეებისთვის სერიოზულ კონკურენციას წარმოადგენს.

ასევე, ხანდაზმულთათვის და რეგიონის მოსახლეობისათვის რთულია ციფრულ პროდუქტებზე გადასვლა — ისინი უფრო პირად კომუნიკაციასა და ბანკის ოფისში ვიზიტს ანიჭებენ უპირატესობას. ციფრულ ტრანსფორმაციებს ბევრი ადიქვამს როგორც რისკს, კიბერშეტევებისა და მონაცემთა გაჟონვის საშიშროების გამო.

ციფრული ტრანსფორმაცია მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს საბანკო სტრუქტურებში. დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით 70%-ზე მეტ ბანკებში ხორციელდება აღნიშნული პროცესი.

ცვლილებების განხორციელების მიმართულებით ყველაზე ხშირად მიმართავენ პროცესების ოპტიმიზაციას. იმდენად, რამდენადაც ციფრული ტრანსფორმაცია დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, საჭიროა რესურსების ოპტიმალურად გამოყენება და ცვლილებების ეფექტიანად გატარება.

ზემოდ აღნიშნული საკითხების შესწავლას და კვლევას მიემდგნა თემასტან დაკავშირებული სამეცნიერო წყაროებისა და პუბლიკაციების ანალიზი. საკვლევ თემასთან დაკავშირებით განხორციელდა ასევე უცხოური გამოცდილების გაცნობა. ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა უფრო ნათლად წარმოჩენილიყო კვლევის მიზნები, ამოცანები და გამოკვეთილყო საკვლევითი ჰიპოთეზა. კერძოდ:

საბანკო პროცესების ოპტიმიზაციის საჭიროების გამოსავლენად და პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფად **კვლევის მიზანს** წარმოადგენს საბანკო პროცესების შესწავლის საფუძველზე, პროცესების ოპტიმიზაციის მოდელის შემუშავება და მისი შედეგების განსაზღვრა.

საკვლევ ობიექტს წარმოადგენს საბანკო სფეროში მიმდინარე სესხის გაცემის პროცესი, მასზე დაკვირვება და შესწავლა.

კვლევის საგანს წარმოადგენს:

- სესხის გაცემის პროცესში არსებული ძირითადი ქმედებების იდენტიფიცირება;
- სესხის გაცემის პროცესში ჩართული მხარეებისა და ფუნქციების იდენტიფიცირება;
- სესხის გაცემის პროცესის ციკლური დროისა და უშუალო სამუშაო საათების ანალიზი;
- სესხის გაცემის პროცესის მიმდინარე ხარჯებისა და მოსალოდნელი პოტენციალის ანალიზი;

კვლევის მეთოდოლოგია - საკვლევი თემის მიზნის მიღწევისათვის გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი მეთოდოლოგია.

სესხის გაცემის პროცესების ეფექტიანად წარმართვაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და ძირითადი გამოწვევების დასადგენად, მივმართეთ არასტრუქტურირებულ ინტერვიუებს მომხმარებლებთან, პერსონალთან და ექსპერტებთან (ექსპერტების შერჩევა მოხდა “თოვლის გუნდას” პრინციპით. პროცესების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, გამოყენებულ იქნა ემპირიული დაკვირვება, კერძოდ ქრონომეტრაჟის მეთოდი.

გამოკითხვის შედეგების ანალიზი განხორციელდა ასევე რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. ფაქტორული ანალიზისას გამოყენებულ იქნა წრფივი კორელაციისა და რეგრესიის მეთოდი.

ჰიპოთეზა - ლიტერატურისა და სამეცნიერო წყაროების შესწავლის შედეგად საკვლევ თემასთან დაკავშირებით გამოიკვეთა 4 ჰიპოთეზა.

H1 – საბანკო ინსტიტუციაში, კონკრეტულ ბიზნეს პროცესში (სესხების გაცემის პროცესზე) ზედმეტი ქმედებების არსებობა, თუკი ისინი არ ქმნიან ღირებულებას

მომხმარებლისათვის და საერთო ჯამში ზრდიან პროცესის ციკლურ დროს, უარყოფითად მოქმედებს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე;

H2 – პროცესების ოპტიმიზაცია უზრუნველყოფს დანახარჯების ოპტიმიზაციას, რაც საშუალებას მოგვცემს ფასეულობების შემქმნელ პროცესებზე მათ მიზანმიმართულ გამოყენებას;

H3 - ბანკებში ფასეულობის შემქმნელ პროცესებზე დანახარჯების ოპტიმიზაცია, პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია საბანკო სტრუქტურის შემოსავლებთან. კერძოდ, ფასეულობის შემქმნელ პროცესებზე დანახარჯების ზრდა უზრუნველყოფს ბანკის შემოსავლის და იმიჯის ზრდას;

H4 - სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციისას, პროცესზე მოქმედ პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებმა შეიძლება იქონიონ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია საბანკო მენეჯმენტის(პროცესების მენეჯმენტი)სწორად განხორციელებაზე, რაც ასევე საბანკო იმიჯზე ახდენს ზეგავლენას.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელი. პირდაპირი ინტერვიუები; ექსპერტთა გამოკითხვა.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა მეცნიერული სიხლე. კერძოდ:

- საქართველოს ბანკის მაგალითზე, შესწავლილია ბიზნეს პროცესების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები, დადგენილია პროცესების პირდაპირ და ირიბ ცვლადებთან დამოკიდებულება;
- კომპლექსურადაა შესწავლილი საბანკო სტრუქტურებში პროცესების ოპტიმიზაცია და დასაბუთებულია და მის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა;

- ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასაბუთებულია ბიზნეს პროცესებსა და საბანკო იმიჯს შორის ურთიერთკავშირი, დადებითი და უარყოფითი კორელაცია;
- შემუშავებულია სესხის გაცემის პროცესების ოპტიმიზაციის მოდელი “To-Be”;
- სცენარული მიდგომის საფუძველზე დასაბუთებულია სესხის გაცემის, პროცესის ოპტიმიზაციის მოდელის ეფექტიანობა;
- შემოტანილია მომხმარებელთა კმაყოფილებასა და იმიჯზე მოქმედი ახალი ცვლადი - სტრესი/განწყობა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები პრაქტიკულ ღირებულებას ატარებს. მისი გამოყენება შეუძლიათ საბანკოს სფეროში მოქმედ სტრუქტურებს, რაც ხელს შეუწყობს ბანკების მიერ დანახარჯების ოპტიმალურ გადანაწილებას, შემოსავლების ზრდას, პერსონალის განვითარებას, რეგიონის დონეზე საზოგადოებაში საბანკო სფეროს მიმართ ნდობის და იმიჯის ზრდას.

რეგიონის დონეზე კვლევის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სულ უფრო მეტად ჩართვას ფინანსურ ოპერაციებში. საბანკო სტრუქტურებისათვის შესაძლებელს გახდის მიზანმიმართული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, ტრადიციული ბანკების ფინანსური პორტფელის ზრდასა და ეფექტიანად დაგეგმვაში.

დანახარჯების ოპტიმიზაცია უზრუნველყოფს ინოვაციების სულ უფრო მეტად დანერგვას საბანკო სტრუქტურებში, რამაც შემდგომში შესაძლოა ხელი შეუწყოს დინამიური ეკოსისტემის შექმნას არა მხოლოდ ფინანსურ ინსტიტუტებში, არამედ მხარი დაუჭიროს სამეწარმეო სტრუქტურებსა და ტექნოლოგიურ ფირმებს შორის ინოვაციების ფართოდ დანერგვაში, ინოვაციური სტარტაპების განვითარებაში, რაც

საბოლოოდ ქვეყნისა და რეგიონის დონეზე მდგრადი განვითარების გარანტიებსა და საფუძველს ქმნის.

კვლევის ეთიკური მხარე - რესპოდენტები ინფორმირებული იყვნენ კვლევაში მონაწილეობაზე, რაზედაც მათგან მიღებულ იქნა სიტყვიერი თანხმობა.

კვლევის შეზღუდვა -

1. საბანკო სფეროში მიმდინარე ბიზნეს პროცესები, მოიცავენ მრავალი სახის პროცესებს და ყველა მათგანის კვლევა ცდებოდა დისერტაციის მასშტაბებს, ამდენად ყურადღება გამახვილდა მხოლოდ ყველაზე მოთხოვნად პროდუქტზე (სესხის გაცემა).
2. საბანკო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, თვისებრივი კვლევა (ქრონომეტრაჟის გამოყენებით) ვერ განხორციელდებოდა ყველა ბანკში, ამდენად კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა მხოლოდ საქართველოს ბანკი

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის კვლევის, 4 თავის დასკვნისა და რეკომენდაციების და დამოყენებული წყაროების ნუსხისაგან.

შესავალში ჩამოყალიბებულია კვლევის აქტუალობა, დასმულია კვლევის პრობლემა, მოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, მკვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის პრობლემასთან დაკავშირები ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა. შესავლის ბოლო ნაწილში აღწერილია მეცნიერული სიახლე და მოცემულია კვლევის პროაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის ანალიზი შესრულებული 2 ძირითადი ჯგუფის მიხედვით; პირველი ეხება პრობლემის ირგვლივ არსებულ იმ სამეცნიერო ჟურნალებს, რმლებშიც ყველაზე მეტი ნაშრომია არსებულ თემატიკაზე, ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანებულია საკითხთან დაკავშირებული დისერტაციები და სამეცნიერო პუბლიკაციები. სულ 31

სამეცნიერო ჟურნალში მოცემული პუბლიკაცია და სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებში არსებული ნაშრომები ბოლო 10 წლის ქრილში. ბოლოს შეჯამებულია ანალიზის შედეგები.

ნაშრომის პირველი თავი ეხება პროცესების თავისებურებებს საბანკო სექტორში. ამ ნაწილში ნაჩვენებია პროცესების როლი საბანკო საქმიანობაში. საბანკო სფეროში, ერთი სტრუქტურის ქრილში, ადგილი აქვს ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპროცესების განხორციელებას. ისინი ერთი მთლიანობითი სისტემის შემადგენლები არიან. მაგრამ მრავალი პარამეტრით განსხვავდებიან. სწორედ ამიტომ საბანკო სფეროში მოქმედი სტრუქტურების საქმიანობისას პროცესების ანალიზი უნდა განხორციელდეს არა მარტო კომპლექსურ ქრილში, არამედ პროცესუალური მიდგომითაც.

ამავე თავში განხილულია პროცესის აღწერის მეთოდოლოგია. მოცემულია ბიზნეს პროცესების კვლევის ძირითადი პარამეტრები; განხილულია კვლევის ინსტრუმენტები და მეთოდები; აღწერილია მოდელი "AS-Is" ანალიზის მიზანი და ძირითადი ეტაპები. პირველი თავის ბოლოს დასაბუთებულია ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგის საჭიროება.

მეორე თავში შესწავლილი და აანალიზებულია ბიზნეს პროცესების ანალიზის ინსტრუმენტები მეთოდები და ეტაპები. აღნიშნულია, რომ ბიზნეს-პროცესების ანალიზი იძლევა ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის მოქნილობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გასაზრდელად. ხაზგასმია გაკეთებული ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე. ასევე SILA Union-ისა და API სისტემათა ინტეგრირების შესაძლებლობაზე და აღნიშნულია, რომ ინტეგრაციის ინსტრუმენტების დახმარებით შესაძლებელია ჩაიტვირთოს ინფორმაცია ნებისმიერი გარე წყაროდან პოპულარულ ფორმატებში, ასევე გადაეცეს მონაცემები სხვა სისტემებს.

ამავე თავში დეტალურადაა განხილული პროცესების SWOT ანალიზის ეტაპები და მომხმარებლისა და პერსონალის გამოკითხვის, ასევე ქრონომეტრაჟის საფუძველზე

დადგენილია საქართველოს ბანკის სესხების გაცემის მოქმედი მოდელის "As-Is" SWOT-ის პარამეტრები.

მეორე თავში დეტალურადაა განხილული "Sixs Sigma", Lean, Kanban და Kaizen-ის მეთოდები. ნაჩვენებია მათი კავშირი TQM-თან. ამ კუთხით გაანალიზებულია პროცესების გაუმჯობესების PDCA, PDSA, DMAIC კონცეფციები. აღნიშნულ თავში ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა H1.

ნაშრომის *მესამე თავი* ასახავს საბანკო სფეროს განვითარების ეტაპებსა და სფეროს წიანშე მდგარ გამოწვევებს. გაანალიზებულია ისეთი გამოწვევა, როგორიცაა პროცესების გაციფრულება. ქრონომეტრაჟის საფუძველზე გამოვლენილია პროცესებზე მოქმედი ფაქტორები. Pearson-ის კორელაციის მეთოდის გამოყენებით დადგენილია პროცესებზე ცვლადების ზედავლენის დონე, მათი სტატისტიკური წონა.

კვლევის შედეგად გამოვლენილია ისეთი ცვლადები, როგორებიცაა სტრესი(დაძაბულობა) და განწყობა. აღნიშნულ ცვლადებს ადგილი აქვთ განუსაზღვრელობის პირობებში ცვლილებების განხორციელების ეტაპზე. ამ თავში მტკიცდება H4.

მეოთხე თავი ეხება კვლევის განხორციელებას. მოცემულ თავში დეტალურადაა განხილული კვლევის მეთოდოლოგია. რომლის საფუძველზეც მოხდა ოპტიმიზაციის ახალი მოდელის "To-Be" შემუშავება. SPSS-ის გამოყენებით გაანგარიშებულია "To-Be" მოდელის ეფექტიანობის მაჩვენებლები. ამ თავში ჩატარებული კვლევის შედეგად მტკიცდება H2 და H3. ასევე H4-ის მეორე ნაწილი.

კვლევა ჩატარდა თბილისსა და საქართველოს ბანკის რეგიონულ ფილიალებში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, სადაც გამოყენებულ იქნა ანკეტური გამოკითხვა. სოციალური ქსელის მეშვეობით ანკეტა გავრცელდა საქართველოს ბანკის კლიენტებს შორის. წინასწარ მოვიძიეთ საქართველოს ბანკის კლიენტების ბაზა თბილისსა და კახეთში, რის შემდეგაც შემუშავებული კითხვარი გადაეგზავნა 20000 რესპოდენტს. აქედან 1200 - თბილისში ხოლო - 800 კახეთში. საბოლოოდ გამოკითხვაში

მონაწილეობა მიიღო 775 რესპოდენტმა, მათგან კაცი არის 364, ხოლო ქალი - 411. მათი ასაკი 18 დან 55+ წლამდე მერყეობს.

რესპოდენტთა შორის 349 იურიდიული პირი იყო, ხოლო 426 რესპოდენტი ფიზიკური პირის სტატუსს ფლობდა.

კვლევის შედეგების რეპრეზენტაბელურობა დადგენილ იქნა შერჩევის ზომის გაანგარიშების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც 99%-იანი ვალიდურობა 5% ცდომილებით უზრუნველყოფილი იქნება 658 რესპოდენტის შემთხვევაში.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა (775 რესპოდენტი) კიდევ უფრო ამყარებს კვლევის სანდოობას.

კვლევის ჩასატარებლად კითხვარი შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისგან. რესპოდენტებს შეეძლოთ სხვადასხვა კითხვებზე არსებული სავარაუდო პასუხის გარდა საკუთარი პასუხებიც დაეფიქსირებინათ.


კვლევისას დაცული იყო კვლევის ეთიკის ეთიკური პრინციპები. რესპოდენტებისგან მიღებულ იქნა თანხმობა კვლევაში მონაწილეობის თაობაზე და დაცული იყო კონფიდენციალობა.

კვლევის შედეგები

სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციის მოდელი “To – Be”

საბანკო სტრუქტურებში სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციის კვლევისას შესწავლილ იქნა ქმედებები, რომლებიც დაჯგუფდა ფასეულობების მიხედვით. თითოეული ქმედება შეიცავს დანაკარგს, რომელიც პროცესის ნაწილია და არ ქმნის ფასეულობას.

თვისებრივი კვლევა



კვლევის მიზანია იმ ქმედებების/დანაკარგების შემცირება, რომლებიც არ ქმნიან ფასეულობების. ამ ეტაპზე გამოვიყენეთ ქრონომეტრაჟის მეთოდი. დაკვირვება განხორციელდა სამი თვის განმავლობაში, კვირაში ორჯერ ერთი და იგივე დროს.

მას შემდეგ, რაც დაფიქსირდა პროცესებში დანაკარგები, მოხდა ფასეულობების არ შემქმნელი ქმედებების იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებისას გავითვალისწინეთ უსარგებლო (ფასეულობის არ შემქმნელი) დანაკარგების წყაროები. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაკვირვების შედეგები დავაჯგუფეთ დანაკარგების წყაროების 3 ძირითად ჯგუფად.

პირველ ჯგუფში - რესურსების არამიზნობრივობა, შევიდა ინტელექტუალური რესურსების არასწორი მართვა. აქ ძირითადად ხდებოდა პროცესში ინტელექტუალური რესურსის არასწორი განაწილება, რაც დანაკარგების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მეორე ჯგუფის დანაკარგების წყაროა ფუჭი გადაადგილებები, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა არასაჭირო გადაადგილებებს ოფისის შიგნით. ასევე დაფიქსირდა საკითხთან დაკავშირებით რამოდენიმეჯერ მიბრუნება, რაც ეწინააღმდეგება

RFT(Right First Time - პირველივე ჯერზე) პრინციპს და ასევე აყოვნებს პროცესს და ზრდის ციკლურ დროს.

დანაკარგების წყაროების მესამე ჯგუფში შევიდა შეუსრულებელი დავალებების დაგროვება, რას მომხმარებლის ლოდინის და ასევე პროცესის შემდეგ ქმედებაზე გადასვლის ლოდინის დროების ზრდას იწვევს.


დაკვირვებამ ცხადყო, რომ დანაკარგების წყაროების დადგენილი ჯგუფები იწვევენ ისეთი ტიპის დანაკარგებს, როგორებიცაა: პროცესის დროს უსარგებლო დანაკარგები, ცვლილებები, მოუქნელობა. აღნიშნული გამოვლინდა ასევე მეორე და მესამე თავებში.

ჩატარებული კვლევისას (მომხმარებელთა, კვლევა; პერსონალის კვლევა; SWOT ანალიზი). აღნიშნული კვლევებითა და ჩატარებული ქრონომეტრაჟის შედეგებით, მტკიცდება H1.

კვლევისას გამოვლინდა მოუქნელობის ძირითადი მიზეზები, რაც დაკავშირებული იყო სესხებზე გაზრდილ მოთხოვნასთან და მომხმარებლისათვის სასურველ დროში მოთხოვნის შეუსრულებლობასთან.


კვლევისას მნიშვნელოვანი იყო ასევე იყო სესხის გაცემის პროცესზე მოქმედი პირდაპირი და არაპირდაპირი ფაქტორების ურთიერთკავშირის დადგენა, რაც პროგრამა SPSS-ის გამოყენებით განვახორციელეთ. თვალსაჩინოებისათვის ურთიერთდამოკიდებულება გამოვსახეთ ინფოგრაფიკის სახით. მონაცემები გაანგარიშებულია პირსონის კორელაციის საფუძველზე.

სესხის გაცემის პროცესის ფაქტორთა კორელაციის ინფოგრაფიკი



სურათზე ნათლად ჩანს სესხის გაცემის პროცესთან სამუშაოების ციკლური დროისა და პერსონალის კმაყოფილებას უარყოფითი კორელაცია, რაც ახალი მოდელისათვის საყურადღებო უნდა იყოს.

ყოველივე ამის შემდეგ მომდევნო ეტაპზე, Lean პრინციპების გამოყენებით შემუშავებულ იქნა სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციის მოდელი “To-be”;



სესხის გაცემის ოპტიმიზაციის მოდელი - "To-Be"¹

სესხის გაცემის პროცესების ოპტიმიზაციის მოდელის ეფექტიანობა.

მოდელის ტესტირება მოხდა SPSS-ის გამოყენებით, რომელიც ჰიპოთეზების გადამოწმების მიმართულებით განხორციელდა.

¹ მოდელი შემუშავებულია ავტორის მიერ

ზედმეტი ქმედებები, როგორც ირიბი ზემოქმედების ფაქტორი აღმოჩნდა სუსტი ზემოქმედების ფაქტორი, რასაც ადასტურებს უარყოფითი კავშირი ($r = -0.35$), მმოუხედავად იმისა, რომ $p = 0.06 > 0.05$ — არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. აღნიშნულმა შედეგმა აჩვენა, რომ ჰიპოთეზა 1 ნაწილობრივ დადასტურდა;

რაც შეეხება სესხის გაცემის პროცესის ციკლურ დროსა და დანახარჯების ურთიერთკავშირს, დადგინდა ძლიერი უარყოფითი კავშირი ($r = -0.41$; $p = 0.02$).

აღნიშნულით, ჰიპოთეზა 2 დადასტურდა.

ძლიერი დადებითი კავშირია აღმოჩნდა ფასეულობების შემქმნელ პროცესებსა და საბანკო შემოსავალს შორის. წრფივი რეგრესიის მიხედვით ($r = 0.52$; $p = 0.04$), რითაც დასტურდება მესამე ჰიპოთეზის პირველი ნაწილი. რაც შეეხება მომხმარებლისთვის ფასეულობების შემქმნელ ქმედებებსა და სანაკო იმიჯს, რაც H3-ის მეორე ნაწილია, ვლინდება დადებითი კორელაცია. ამ შემთხვევაში ($r = 0.38$, $p = 0.04$); ამით, მესამე ჰიპოთეზის მეორე ნაწილიც დასტურდება.

მეოთხე ჰიპოთეზის დასასაბუთებლად საჭირო იყო მენეჯმენტის ხარისხისა და საბანკო იმიჯის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა. SPSS-ის გამოყენებით გაანგარიშებულ იქნა r და p კოეფიციენტები ($r = 0.42$; $p = 0.02$). აღნიშნულიც ადასტურებს მენეჯმენტის ხარისხსა და საბანკო იმიჯს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან და დადებით ურთიერთკავშირს. ამით, მეოთხე ჰიპოთეზაც დასტურდება.

ჰიპოთეზების დადასტურების შემდეგ კვლევის მიზანი იყო ოპტიმიზაციის ახალი მოდელის ეფექტიანობის შეფასება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ციკლური დროის შემცირება; ხარჯების შემცირება და შემოსავლების ზრდა. აღნიშნული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შემდეგი მიდგომა:

დროის შემცირება (ΔT_1) გაანგარიშებულ იქნა ფორმულით

$$\Delta T_1 = T_{as-is} - T_{to-be}$$

სადაც

$\Delta T1$ - არის Lean მეთოდის გამოყენებით დროის შემცირება

T_{as-is} - სესხის გაცემის პროცესის As-Is მოდელის ციკლური დრო

T_{to-be} – To-Be მოდელის ციკლური დრო

ხარჯების შემცირება (ΔC_1):

$\Delta C1 = C_{as-is} - C_{to-be}$;

შესაბამისად,

$\Delta C1$ - Lean მეთოდით ხარჯების შემცირებაა

C_{as-is} - As-Is მოდელის ხარჯები;

C_{to-be} - კი To-Be მოდელზე გაწეული ხარჯებია

შემოსავლების ზრდა (ΔR_1) - Lean მეთოდით შემოსავლების ზრდა ტოლია To-Be და As-Is მეთოდებს შორის შემოსავლების სხვაობისა.

$\Delta R1 = R_{to-be} - R_{as-is}$

აღნიშნული გაანგარიშების საფუძველზე

ცხრილი 1

Lean მეთოდის გამოყენებით სისხლის გაცემის პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები

პროცესი	დროის შემცირება (დღე)	ხარჯების შემცირება: (ლ)	შემოსავლის ზრდა (ლ)
სესხის გაცემა	2.5 დღე	120 ლ	500 ლ

თუ მიღებულ მაჩვენებლებს შევადარებთ ქრონომეტრაჟის შედეგად მიღებულ მაჩვენებლებს, მივიღებთ, რომ Lean მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ოპერაციული ხარჯების 15-30%-ით შემცირება; პროცესების შესრულების ციკლური დრო შემცირდა 20%-დან 40%-მდე, რაც განაპირობებს მომსახურების სწრაფად უზრუნველყოფას, ლოდინის დროის შემცირებასა და სისტემის მოქნილობას; ზედმეტი, არაეფექტური ნაბიჯების აღმოფხვრით შესაძლებელია პროცედურების

რაოდენობის შემცირება 25%-დან 50%-მდე; კლიენტის მომსახურების დროის შემცირება შესაძლებელი 10%-დან 35%-მდე, რაც ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას და საიმედოობას, ხოლო თანამშრომელთა პროდუქტულობის ზრდის პროგნოზი ავტომატიზაციის, სტანდარტიზაციისა და ოპტიმიზაციის შედეგან 15%-დან 25%-ია.

ოპტიმიზაციის შედეგები დაკავშირებულია რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასთან, რისი მიღწევაც მიზანმიმართული მენეჯმენტის შედეგადაა შესაძლებელი. სწორი, პროცესების გაუმჯობესებაზე მიმართული მართვა უზრუნველყოფს იგივე ადამიანური რესურსით მეტი განაცხადის დამუშავებას, სესხის უფრო სწრაფად გაცემას და ერთ განაცხადზე დროის ხარჯის შემცირებას, რაც საბოლოო ჯამში ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას და წმინდა მოგებას.

თუ ზემოდ აღნიშნულს, სამიზნე ნიშნულებად მივიჩნევთ, მაშინ Lean მეთოდით სესხების გაცემის პროცესის საპროგნოზო მაჩვენებლები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

ცხრილი 1

სესხების გაცემის პროცესის საპროგნოზო მაჩვენებლები

პარამეტრი	ბველი მოდელ	ოპტიმიზირებული მოდელ
განაცხადის დამუშავების დრო	3 დღე	1.5 დღე
ერთ სესხზე საოპერაციო ხარჯი	25 ლ	17 ლ
ერთ თვეში დამუშავებული განაცხადები	5,000	7,500
ერთ თვეში შემოსავალი სესხებიდან	500,000 ლ	800,000 ლ
დამუშავების საშუალო ზუსტი სიჩქარე	80%	96%

სესხის გაცემის ოპტიმიზაციის მოდელის საბოლოო შედეგი ხარჯების დაზოგვა, მათი ოპტიმალურად გამოყენება და შემოსავლების ზრდაა. მოდელის ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროცესის უწყვეტი მონიტორინგი და გაუმჯობესება. მისი ეფექტიანი დანერგვის აუცილებელ ფაქტორს კი წარმოადგენენ: მენეჯმენტის მხარდაჭერა და ლოიალობა; თანამშრომლობის აქტიური ჩართვა(რაც ხსნის სტრესსა და დაძაბულობას ცვლილებების განხორციელებისას; სტანდარტული პროცედურების დაცვა და მუდმივი სწავლის კულტურის დამკვიდრება და გაუმჯობესება.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ის სუსტი ადგილები, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს ბანკში სესხის გაცემის პროცესის განხორციელებისას, რაც ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის კმაყოფილებაზე, ეს კი საბოლოო ჯამში ბანკის შემოსავლისა და იმიჯის მაჩვენებელზე აისახება.

მიუხედავად სუსტი მხარეებისა, რესპოდენტები უპირატესობას მომსახურების გაწევსა და საბანკო პროდუქტის შერჩევასთან მიმართებაში არჩევენ საქართველოს ბანკზე აკეთებენ, რაც მოცემული ბანკის საიმედო ბრენდიდან გამომდინარეობს. ამდენად, ბრენდის შესანარჩუნებლად საჭიროა იმ სუსტი ადგილების დამლევა, რაც კვლევამ გამოავლინა. მეტწილად ეს რეგიონის საბანკო სტრუქტურებს ეხებათ. აქ მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმისა და მომსახურების ხარისხის კორპორატიული კულტურის მიმართულებით მუშაობა. ეს რესპოდენტთა პასუხებში ხაზგასმულია. მათ დამატებით რეკომენდაციებში ხაზი გაუსვეს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, დიდი ხნის/მუდმივ კლიენტებზე უფრო მოქნილი სასესხო პირობების არსებობას, სესხის აღების პროცესის გამარტივებას, ოპერატიულობასა და ნაკლებ ბიუროკრაციას.

ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს საბანკო სფეროს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მომხმარებლის მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის საჭიროა პრობლემებთან კომპლექსური მიდგომა, რაც არა მხოლოდ შიდა პროცესების შესწავლაში მდგომარეობს, არამედ მათ კავშირში გარე ზემოქმედების ფაქტორებთან. დღეისათვის ასეთი ზემოქმედების ფაქტორი ციფრული ეკონომიკის სწრაფი განვითარებაა, რაც ყველაზე სწრაფად და თვალნათლივ საბანკო სფეროზე აისახება. სწორედ კომპლექსური ანალიზი უზრუნველყოფს თავი ავარიდოთ პროცესების მოუქნელობას და საჭირო ცვლილებების არასწორად განხორციელებას.

საკითხის შესწავლამ დაგვანახა საქართველოს ბანკის სტრუქტურებში ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგისა და პროცესების ოპტიმიზაციის საჭიროება. Lean სტრატეგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა პროცესიდან ფასეულობების არ შემქმნელი ოპერაციების ამოღებით, მიგვეღწია დანაკარგების მინიმიზაციისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა სესხის გაცემის პროცესის მოდელი “To-Be”.

ბანკის სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციის შეფასებამ ცხადყო, რომ მონაცემებზე დაფუძნებული, სტრუქტურირებული მიდგომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც პროცესების შიდა ეფექტიანობაზე, ისე კლიენტთა კმაყოფილებაზე (H1). ჩატარებულმა კორელაციის ანალიზმა და ცვლადების რანჟირებამ დაამტკიცა, რომ ციკლური დრო, KPI, SLA, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და კმაყოფილება წარმოადგენს პროცესებზე ზემოქმედების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს.(H2)

კერძოდ, სესხის გაცემის პროცესში დადებითი კავშირი გამოვლინდა KPI და თანამშრომელთა კვალიფიკაციას შორის, ხოლო ციკლური დრო პროცესის ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. ოპტიმიზაციის მოდელი “To-Be” ნათლად წარმოაჩენს ეტაპობრივ სტრატეგიას — არსებული მდგომარეობის ანალიზიდან ტექნოლოგიური ინტეგრაციისა და სტანდარტიზაციამდე (H4). ჩატარებული კვლევის

საფუძველზე შეფასებულია ოპტიმიზაციის შედეგები ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა დროისა და ხარჯების შემცირება და შემოსავლის ზრდა.

პირსონის კორელაციის საფუძველზე დასაბუთებულია სესხის გაცემის “To-Be” მოდელის გამოყენების საპროგნოზო მაჩვენებლები (H3; H4).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო პროცესების(სესხის გაცემის) ოპტიმიზაციასა და საბანკო მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გატარება:

1. საჭიროა მოხდეს სტრატეგიაში ბიზნეს პროცესების ინტეგრირება (სამოქმედო გეგმა), რათა შესაძლებელი იყოს მათი კონკრეტული ინდიკატორების და სამიზნე მაჩვენებლების მიხედვით უწყვეტი მონიტორინგი შეფასება და გაუმჯობესება;
2. საბანკო სფეროს კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია “As-Is” მოდელის მიხედვით მმართველობითი, ძირითადი, და უზრუნველყოფი პროცესების მუდმივი ანალიზი და გაუმჯობესება;
3. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას პროცესების გაუმჯობესების PDSA (Plan-Do-Study-Act) და DMAIC (Define-Measure-Analyze-Improve-Control) კონცეფციებთან ბმა;
4. პროცესების გაუმჯობესებამდე საჭიროა დადგინდეს ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგის აუცილებლობა და განისაზღვროს თუ რა სახის რეინჟინერინგის განხორციელებაა აუცილებელი და საჭირო საბანკო სტრუქტურაში (ფუნდამენტური, რადიკალური, მკვეთრი და თანმიმდევრული/მიზანმიმართული); ამით შესაძლებელი გახდება რესურსების ოპტიმალური გამოყენება და გაუმჯობესებული პროცესით მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა;

5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია Lean –Six Sigma სტრატეგიის გამოყენებით;
6. რეკომენდებულია ოპტიმიზაციის პროცესისი განხორციელებისათვის საწყის ეტაპზევე საჭირო ცვლილებების დადგენა; ცვლილებების გეგმის/ზუსტი გრაფიკის შემუშავება და ცვლილებებთან დაკავშირებით პერსონალთან მჭიდრო კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების(სტრესი, დაძაბულობა, განწყობა. პროდუქტულობის შემცირება) თავიდან აცილებას/შემცირებას;
7. აუცილებელია, ერთიან წესებზე დაყრდნობით თითოეული პროცესის სტანდარტიზაცია, რაც ზედმეტი მოქმედებებისა და მოუქნელობის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს;
8. მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება უნდა გახდეს ყოველდღიური მენეჯმენტის ნაწილი;
9. მომხმარებლის მოთხოვნების სწრაფი დამუშავებისათვის ინტეგრირდეს ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ინსტრუმენტები;
10. ოპტიმიზაციის პროცესებისა და “To-Be” მოდელის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოხდეს პერსონალის გადამზადება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; მუდმივად მოხდეს პერსონალის შეფასებისა და სტიმულირების სისტემის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის კონკრეტულ სტრუქტურებში/ფილიალებში დამაგრებას, ბანკის იმიჯის განმტკიცებას და მდგრადობის შენარჩუნებას;
11. რეკომენდებულია პროცესების შეფასება და მონიტორინგი განხორციელდეს რეგულარულად KPI და SLA მაჩვენებლების საფუძველზე;
12. ოპტიმიზაციის მოდელის დანრგვა შესაძლებელია ეტაპობრივად, პილოტირების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა მინიმალური რისკითა და დანაკარგებით შეფასდეს შედეგები და განაწილდეს რესურსები

პროცესების ოპტიმიზაციის ანალიზმა და მოდელებმა ცხადყო, რომ სტრატეგიულად გაწერილი, მონაცემებზე დაფუძნებული ოპტიმიზაცია არა მხოლოდ ამცირებს ხარჯებს და დროს, არამედ ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას და ბანკის რეპუტაციას.

ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყოს საბანკო სფეროში გრძელვადიან პერიოდში, ინოვაციებზე დაფუძნებული ტრანსფორმაციის ხარისხიან და ეფექტიან განხორციელებას.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. Agladze T., Chagelishvili L., Tavartkiladze S., Totladze L., "European Association Agreements And Some Aspects of Georgia Economics"; *European Scientific Journal November (2014) /SPECIAL/ edition vol.1 ISSN: 1857 – 7881 (Print) e – ISSN 1857- 7431; p.34-43;*
2. Agladze T., Chagelishvili L., Tavartkiladze S., Totladze L., Aladashvili G., Bagrationi N.- "Development of the main macroeconomic indicators and the financial crisis"; *European Scientific Journal December (2015) /SPECIAL/ edition Vol.2 ISSN: 1857 – 7881 (Print) e - ISSN 1857- 7431p.20-32;*
3. აგლაძე თ., "საბანკო სერვისებზე მოქმედი ფაქტორები და ძირითადი გამოწვევები", საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. *საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "მოამბე", XLIV, თბილისი (2022); 33-42*
4. Agladze T. Gonashvili M., *Financial Globalization and Banking Regulation Mechanisms;* National Academy of Sciences of Ukraine; "Institute for Economics and Forecasting of the NAS of Ukrain"; International Financial Research; The Italian Institute For the Future; *Fundamental Shifts in Geo-Economic Systems of The World; International Collection of Scientific Worcs(2023), 185*
5. აგლაძე თ., გონაშვილი მ., სესხის გაცემის პროცესის ოპტიმიზაციის მოდელი "To – Be" (საქართველოს ბანკის მაგალითზე); *საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "ეკონომისტი", 2025 (2);*
[https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=1073;](https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=1073)
6. Agladze T., Chagelishvili L., Digitalization and Business Process Reengineering in Georgia's Banking Sector; *International Scientific-Practical Quarterly Journal, Precise and Reviewed; DOI suffix: 10.36962.NEC20012025; (2025)*



LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscripts

Tamar Agladze

**Optimization of Banking Processes and Efficiency of Banking Services on the
Case of Bank of Georgia**

Abstract
of a doctoral thesis for earning the academic degree of a Doctor of
Economics

Telavi, 2025

The present Thesis was completed at the Faculty of Social Sciences,
Business and Law, Iakob Gogebashvili Telavi State University (applied
economics PhD /doctoral program)

